

მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №2

ქ. თბილისი

15.11.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

ნანა ჭილაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე;

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

თეიმურაზ ჩიხრაძე - სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის მოადგილე, საბჭოს წევრი, სხდომის მდივანი;

მაია კოპალეიშვილი - საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი, საბჭოს წევრი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცესის კოორდინატორი;

ანა ჯავახიშვილი - პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის პროცესის სპეციალისტი.

დაწესებულებების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი:

ანა ფირცხალაშვილი - პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი;

ლიკა გიორგაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე; იურიდიული კონსულტანტი.

სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტი:

გელა წიკლაური - დირექტორი;

თინათინ სიყმაშვილი - სერტიფიცირებისა და ტრენინგების განვითარების სამსახურის უფროსი;

გვანცა ვახტანგაშვილი - სერტიფიცირებისა და ტრენინგების განვითარების სამსახურის კოორდინატორი.

პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნინო ბოჭორიშვილი;

ლევან მადათოვი;

გიორგი ეზუგბაია;

ნინო ცუხიშვილი.

მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე მოწვეული პირები:

ეკატერინე ქარდავა - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:17 საათზე.

საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი, ეკატერინე ქარდავა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და განაცხადა, რომ საჯარო სამსახურის რეფორმა აქტიურ ფაზაში იმყოფებოდა და მადლობა გადაუხადა საბჭოს, ცენტრს და ექსპერტებს საჯარო სექტორში კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან სხდომას ესწრებოდა საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-19 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ იყო უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს წევრებმა ერთობლივი გადაწყვეტილებით სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დააკისრეს საბჭოს წევრს, თეიმურაზ ჩიხრაძეს.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ან ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებით, ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ შენგელიამ განაცხადა, რომ შუამდგომლობა არ ფიქსირდებოდა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სახით დღის წესრიგი.

1. ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა საბჭოს წევრებს წარუდგინეს დაწესებულების რექტორის, სერგო ვარდოსანიძის მიერ ხელმოწერილი მინდობილობა. წინამდებარე მინდობილობით, უფლებამოსილება ენიჭებოდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილეს, იურიდიულ კონსულტანტს, ლიკა გიორგაძეს წარმოედგინა დაწესებულების პოზიცია მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უკუკავშირს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ექსპერტთა ჯგუფის წევრი, ლევან მადათოვი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა. მან განაცხადა, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 18 სექტემბერს თანამშრომლობით გარემოში და სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ნინო ბოჭორიშვილს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო ბოჭორიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამასთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები:

- მიზანშეწონილია, დაწესებულებამ პროგრამის მოდიფიცირების გზით კომპონენტები დაამტკიცოს მოდულის ან სილაბუსის ფორმით, თითოეული მოდულის შესწავლისას გამოსაყენებელი მეთოდები იყოს ინდივიდუალური, კონკრეტული და მორგებული სწორედ იმ კომპონენტზე, რომელშიც არის ასახული;

- დაწესებულებამ უნდა მოახდინოს პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების/კომპეტენციების მოდიფიცირება და სწავლის შედეგების რუკასთან თავსებადობა;
- მიზანშეწონილია, პროგრამით გათვალისწინებული ყველა კომპონენტისათვის დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდეს სასწავლო მასალა/ჰენდაუტები, რომელიც ორიენტირებული იქნება კონკრეტული სწავლის შედეგების მიღწევაზე.

ექსპერტმა, ნინო ბოჭორიშვილმა განაცხადა, რომ სამივე რეკომენდაცია იყო შემუშავებული პირველ სტანდარტთან მიმართებით. ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ პროგრამას თან ახლდა პროგრამით გათვალისწინებული 4 მოდული, რომელიც სხვადასხვა სახელწოდებით იყო წარმოდგენილი. 4 კომპონენტიდან ორი - ადმინისტრაციული წარმოებისა და ეთიკა საჯარო სამსახურში წარმოდგენილი ჰქონდათ სილაბუსის სახით, რომელსაც თან ერთვოდა დღის წესრიგი, ეფექტიანი მომსახურებისა და დროის მართვის. ასევე, პროფესიული კომუნიკაცია, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა წარმოდგენილი ჰქონდათ დღის წესრიგის სახით და თან ერთვოდა დღის წესრიგებიც. ექსპერტმა განაცხადა, რომ ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინეს დამტკიცებული პროგრამა კომპონენტებთან ერთად, რომელშიც პროგრამას დანართის სახით თან ერთვოდა თემატიკა მოდულების სახით. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრების და აღნიშნული გაუგებრობა დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის კომპონენტები იყო სარეკომენდაციო ფორმებში შესრულებული. ექსპერტმა ასევე განაცხადა, რომ ყველა მოდულში სწავლებისა და სწავლის მეთოდები იყო იდენტური, ყოვლისმომცველი და ფართო, თუმცა არ იყო შესაბამისობაში დღის წესრიგით გათვალისწინებულ სწავლების მეთოდებთან. ექსპერტის განმარტებით ინტერვიურებამაც აჩვენა, რომ ტრენერების მიერ მოდულში მითითებული სწავლების მეთოდები იყო უფრო ფართო და ყველა მათგანის გამოყენება ვერ მოხდებოდა, თუმცა საჭირო მეთოდები ასახული ჰქონდათ დღის წესრიგში. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული პროგრამის კომპონენტი სწავლება სწავლის მეთოდებში უნდა ასახავდეს მხოლოდ იმ მეთოდებს, რომლებიც ამ კონკრეტული მოდულის შესწავლისას გამოიყენება. მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით, ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამას არ გააჩნდა სწავლის შედეგების რუკა, თუმცა დამატებით განმარტა, რომ ვიზიტისას დაწესებულებამ წარმოადგინა არაოფიციალური სახით შედგენილი სწავლის შედეგების რუკა. დაწესებულების თვითშეფასებიდან მან წაიკითხა შემდეგი ამონარიდი: „კომპეტენციების დაკმაყოფილებას სასწავლო მოდულები უზრუნველყოფდნენ ცოდნასთან, უნარებთან და დამოკიდებულებების ცვლილებებთან დაკავშირებული სწავლის შედეგებით, რაც დეტალურად იყო ასახული ცალკეული მოდულის დღის წესრიგში და სწავლის შედეგების რუკაში“ და აქვე განმარტა, რომ ვიზიტისას დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სწავლის შედეგების რუკაში და თითოეულ მოდულში განსაზღვრული კომპეტენციები ერთმანეთს არ ემთხვეოდა. მესამე რეკომენდაციასთან მიმართებით ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი არ იყო სასწავლო მასალა - ჰენდაუტები. ვიზიტის მსვლელობისას დაწესებულებამ ექსპერტებს მიაწოდა უკვე შემუშავებული ადმინისტრაციული წარმოების მოდულისათვის განკუთვნილი ჰენდაუტი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სილაბუსებში წარმოდგენილი ძირითადი ლიტერატურა მოიცავდა ვრცელ მასალას, თუმცა პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა განუმარტა

6. ექს

ექსპერტებს, რომ ეს ლიტერატურა გამოყენებული უნდა ყოფილიყო ჰენდაუთებისათვის და თავისთავად არ გულისხმობდა მსმენელებისათვის მათ როგორც სასწავლო მასალად მითითებას. ექსპერტმა დამატებით განაცხადა, რომ ძირითად ლიტერატურაში დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა უცხოენოვანი ლიტერატურა და ვინაიდან პროგრამა ხორციელდებოდა ქართულ ენაზე და პროგრამაზე დაშვების წინაპირობას არ წარმოადგენდა უცხო ენის გარკვეულ დონეზე ცოდნა, ექსპერტთა მოსაზრებით უმჯობესი იქნებოდა მოდულში ძირითად ლიტერატურაში მითითებული უცხოენოვანი ლიტერატურა გადატანილი ყოფილიყო დამატებით ლიტერატურაში.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელი, ლიკა გიორგაძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან განმარტა, რომ ის არ ისაუბრებდა პროგრამის შინაარსზე და მხოლოდ ტექნიკურ საკითხებზე საუბრით შემოიფარგლებოდა. ლიკა გიორგაძემ განმარტა, რომ პროგრამის ოთხივე კომპონენტი დამტკიცებული იყო მოდულების სახით, რაც ექსპერტებმა მატერიალური სახით ნახეს დანართებთან ერთად ვიზიტის ფარგლებში. მან განაცხადა, რომ აკრედიტაციის პროცესში არ იყო სავალდებულოდ მოთხოვნილი ყველა დამტკიცებული აქტი დასკანერებული სახით ყოფილიყო წარდგენილი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, მისი განმარტებით სწორედ ამიტომ იყო დისკზე ჩაწერილი ელექტრონული ვერსიები, რომელიც შინაარსობრივად იდენტური იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ განსხვავება სახელწოდებებში იყო. ლიკა გიორგაძემ განმარტება გააკეთა მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ პროგრამაზე მუშაობის დასაწყისში დაწესებულებამ განიხილა აკრედიტაციის სტანდარტები, თუ რა მოთხოვნებს უყენებდა პროგრამას. მისი განცხადებით, დებულებით არ იყო გათვალისწინებული სწავლის შედეგების რუკის მოთხოვნა. სამუშაო პროცესში რუკას დაწესებულება იყენებდა თვალსაჩინოებისთვის თუ რომელი მოდული რომელ სწავლის შედეგს ფარავდა. მისი განმარტებით დამტკიცებული პროგრამა ყველა სწავლის შედეგზე გადიოდა. მან ასევე განმარტება გააკეთა პროგრამის შემუშავებასა და განვითარების მეთოდოლოგიაზე, რომელიც ექსპერტთა განცხადებით დაწესებულებაში მათ დახვდათ წესის სახით. მან დამატებით განმარტა, რომ ხარისხის განვითარების მექანიზმი დაწესებულებისათვის იყო პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესი, რომელსაც თან ახლდა კითხვარი და დაწესებულება იყენებდა მას პროგრამის განვითარების მიზნით.

დაწესებულების წარმომადგენელი, ანა ფირცხალაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის. მან განმარტება გააკეთა პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით და განაცხადა, რომ პროგრამა იყო წარმოდგენილი სხვადასხვა სახელწოდებით და ეს იყო ტექნიკური ხარვეზი, რომელიც მისი მოსაზრებით გამოსწორებადი იყო და იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას. მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ იზიარებდა მას, თუმცა დამატებით განმარტა, რომ ოფიციალურად წარსადგენ დოკუმენტთა ნუსხაში არ იყო მოთხოვნილი სწავლის შედეგების რუკა. მან განაცხადა, რომ ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს წარუდგინა დაწესებულებამ სწავლის შედეგების რუკის სამუშაო ვერსია, რომელსაც პროგრამის შემუშავებელი ჯგუფი იყენებდა იმ მიზნით, რომ გაეგოთ რომელი კომპონენტი რა შედეგზე გადიოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა მესამე რეკომენდაციასთან მიმართებით განაცხადა, რომ იზიარებდა და განმარტა, რომ

ადმინისტრაციულ წარმოებასა და ეთიკა საჯარო სამსახურში არსებობდა ჰენდაუთები. ასევე, მან განაცხადა, რომ დონორი ორგანიზაციის დაფინანსებით მუშაობდნენ მოდულებზე მორგებულ სახელმძღვანელოზე, რომელიც იქმნებოდა საჯარო მოხელეებისთვის. აქვე, მან განმარტა, რომ რადგან დაწესებულებას არ ჰქონდა დაწყებული ტრენინგების ჩატარება, სწორედ ამ მიზეზით არ ჰქონდათ ყველა საგნის ჰენდაუთები მზად.

საბჭოს თავმჯდომარემ ექსპერტებს მიმართა კითხვით, თუ რატომ ჩათვალეს, რომ ეს საკითხი რეკომენდაციის ნაწილში გაეწერათ და არა რჩევის ნაწილში, იქიდან გამომდინარე, რომ პირველი სტანდარტის მე-7 კომპონენტი პირდაპირ არ ითხოვდა სასწავლო მასალის მიწოდებას სწავლის შედეგებზე გასასვლელად.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ ლიტერატურა, რომელიც დაწესებულებას თითოეულ კომპონენტთან მიმართებით ჰქონდა გამოყენებული ძალიან ვრცელი იყო და მოდულებისათვის გამოყოფილი მცირე საკონტაქტო საათები არ იძლეოდა დიდი მოცულობის მასალის შესწავლის შესაძლებლობას. მან განაცხადა, რომ ტრენინგის სრულფასოვანი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანი იყო მსმენელებისათვის მიეწოდებინათ კონკრეტულ თემატიკაზე შედგენილი და კონკრეტულ შედეგზე ორიენტირებული სასწავლო მასალა. მისი განმარტებით სწორედ ამ მიზეზით მოხდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდაციის ნაწილში ამ საკითხის გაწერა.

ექსპერტმა, ლევან მადათოვმა დამატებით განმარტა, რომ პროგრამაში არ იყო გათვალისწინებული დამოუკიდებელი საათები და 24 საკონტაქტო საათში უფრო რელევანტური იქნებოდა სასწავლო მასალის ჰენდაუთების სახით მიწოდება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ძირითად ლიტერატურაში დიდი რაოდენობის სასწავლო მასალა მხოლოდ იმ მიზნით გაწერეს, რომ მსმენელს შესაძლებლობა ჰქონოდა დაინტერესების შემთხვევაში ღრმად გაცნობოდა მისთვის საინტერესო თემას. მან დამატებით განმარტა, რომ ტრენინგის პროცესში სასწავლო მასალას ჰენდაუთების სახით გადასცემდნენ მსმენელებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები რეკომენდაციებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო ჯგუფის მიერ შემუშავებული რჩევები პროგრამასთან მიმართებით:

- სასურველია, პროგრამის შემუშავება/განვითარების თანამონაწილეობითი პროცესი, რომელშიც უზრუნველყოფილი იქნება დაინტერესებულ პირთა ჩართულობა, ასახული იყოს ისეთ დოკუმენტში, რომელიც იქნება დამტკიცებული ფორმით;
- სასურველია, პროგრამის შემუშავებისა და განვითარების მიზნით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, სისტემატიურად აწარმოოს დაინტერესებული კომპეტენტური პირების ჩართულობის დამადასტურებელი მასალა/დოკუმენტები, მაგალითად საკუთარი მუშაობა აწარმოონ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხებით და სამუშაო ჯგუფის მუშაობა აღბეჭდონ სხდომის ოქმში;

- სასურველია, ადმინისტრაციამ პროგრამის ოთხივე კომპონენტი ვებგვერდზე განათავსოს მოდულის ან სილაბუსის სახით, მოდულის ან სილაბუსის სრული სახელწოდების მითითებით;
- სასურველია, პროგრამის კომპონენტები (მოდული/სილაბუსი) ვებგვერდზე განთავსდეს, არა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სხვადასხვა სახით და ფორმით შედგენილი, არამედ დაწესებულების მიერ ოფიციალურად, პროგრამასთან ერთად დამტკიცებული პროგრამის კომპონენტების სახით;
- სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების რუკა დამტკიცდეს პროგრამასთან ერთად;
- სასურველია პროგრამის ოთხივე კომპონენტი იძლეოდეს ერთი და იგივე ფორმატით ინფორმაციას საკონტაქტო საათებიდან დროის განაწილების შესახებ;
- სასურველია, პროგრამის კომპონენტში/ მოდულში უცხოენოვანი სასწავლო მასალა არ მიეთითოს ძირითად ლიტერატურად და გადავიდეს დამატებით ლიტერატურაში;
- სასურველია, სერტიფიკატის გაცემის წესი პროგრამის კომპონენტების მსგავსად ასახული იყოს პროგრამაში;
- სასურველია, პროგრამის წარმატებით დასრულების დამადასტურებელი შეფასებისათვის გამოსაყენებელი ფორმატი დაწესებულებამ დააფიქსიროს ოფიციალურად დამტკიცებულ პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების წესში, ასევე ასახოს პროგრამასა და პროგრამის კომპონენტებში;
- აკრედიტაციის მიზნებისთვის სასურველია დაწესებულებამ ცენტრის შექმნამდე და ფუნქციების განსაზღვრამდე, შეიტანოს ცვლილება ყველა იმ სამართლებრივ აქტში, სადაც პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის განხორციელების კუთხით მითითებულია ცენტრი;
- სასურველია გადაიხედოს სერტიფიკატის გაცემის წესი, რათა დაზუსტდეს სერტიფიკატის რეკვიზიტები;
- სასურველია, პროგრამის განხორციელების გეგმაში მითითებული იყოს კონკრეტული აუდიტორია (აუდიტორიები) სადაც ჩატარდება ტრენინგები;
- სასურველია, შემუშავდეს და დამტკიცდეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პირთათვის მექანიზმები, რაც ხელს შეუწყობს ნებისმიერი სენსორული დარღვევის მქონე პირთა შეუფერხებელ ჩართვას სასწავლო პროცესში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავებისა და განვითარების წესი სრულად უნდა მოიცავდეს აკრედიტაციის სტანდარტით გათვალისწინებული პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისათვის საჭირო ინფორმაციას. მან ასევე განმარტა სამუშაო ჯგუფებთან მიმართებით დაფიქსირებული რჩევა და განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული კომპეტენტური პირების ჩართულობის დამადასტურებელი მასალა/დოკუმენტი უნივერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი არ ყოფილა და ვერც ვიზიტის მსვლელობისას იქნა მოწოდებული, თუმცა ინტერვიუებით დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავებელი სამუშაო ჯგუფისა და სხვა დაინტერესებული პირების შეხვედრა გაიმართა ორჯერ. დანარჩენ შემთხვევაში კი ინფორმაციების მიწოდება და დაინტერესებული პირებისაგან წინადადებების მიღება ხორციელდებოდა ელ. ფოსტებისა და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

6 ქს

დაწესებულების წარმომადგენლის, ლიკა გიორგაძის განმარტებით აკრედიტაციის სტანდარტი ითხოვდა, რომ პროგრამა დამტკიცებული ყოფილიყო დაწესებულებაში არსებული პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, თუმცა არ იყო პირდაპირი აქცენტი გაკეთებული, რომ დაინტერესებულ პირთა ჩართულობა ყოფილიყო ოფიციალური და დამტკიცებული ფორმით დადასტურებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ როდესაც პროგრამის თვითშეფასებაში მითითებული იყო, რომ მეთოდოლოგიით დასტურდებოდა აღნიშნული გარემოება, ამ შემთხვევაში ის წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო დამტკიცებული სახით.

ნინო ბოჭორიშვილმა ასევე განმარტა, რომ ვებ გვერდზე განთავსებული პროგრამის კომპონენტების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი იყო სხვადასხვა სახელწოდებით. მან განაცხადა, რომ სასურველი იყო პროგრამის ოთხივე კომპონენტი განთავსებულიყო მოდულის ან სილაბუსის სახით და მოდულის სრული სახელწოდებით. ასევე, ექსპერტმა დამატებით განაცხადა პროგრამის კომპონენტების შინაარსთან მიმართებით, რომ სასურველი იყო ვებგვერდზე განთავსებულიყო, არა სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სხვადასხვა სახით და ფორმით შედგენილი, არამედ დაწესებულების მიერ ოფიციალურად დამტკიცებული სახით. ნინო ბოჭორიშვილის განცხადებით, სწავლის შედეგების რუკასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფი არანაირ ვალდებულებას არ ქმნიდა. მან დამატებით განმარტა, რომ უმჯობესი იქნებოდა სწავლის შედეგების რუკა თუ ექნებოდა დაწესებულებას დამტკიცებული ფორმით. ძირითად ლიტერატურაში უცხოენოვანი სასწავლო მასალის მითითებასთან დაკავშირებით, ექსპერტმა კიდევ ერთხელ განმარტა, რომ საქართველოს კანონმდებლობით სამართალწარმოების ენა იყო ქართული და უმჯობესი იქნებოდა თუ დაწესებულება ძირითად ლიტერატურაში უცხოენოვან სასწავლო მასალას არ მიუთითებდა. ასევე, ნინო ბოჭორიშვილმა განაცხადა, რომ ვიზიტის დროს გარკვეული გაუგებრობა გამოიწვია სხვადასხვა დოკუმენტებში პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი ორგანოს სახით ცენტრის მითითებამ. ინტერვიუების პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა დააზუსტა, რომ ცენტრი, რომლის შექმნაც ფაკულტეტის ფარგლებში იგეგმებოდა ვიზიტის მომენტისათვის შექმნილი არ იყო. შესაბამისად ექსპერტებმა მიიღეს დამაზუსტებელი განმარტება, რომ პროგრამა განხორციელდებოდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ფარგლებში, რაც ასევე დასტურდებოდა სკოლის დებულებით. სკოლის დებულების მე-3 მუხლის მეორე პუნქტით განსაზღვრული იყო სკოლის უფლებამოსილებები პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამების ადმინისტრირების მიზნით. ექსპერტმა დამატებით განმარტა, რომ პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი შეიცავდა სწორედ ამ სასწავლო ცენტრის ლოგოს. მან განაცხადა, რომ ვიზიტის დროს ინტერვიუების პროცესში დაწესებულების წარმომადგენლებმა გაიზიარეს ექსპერტთა პოზიცია და გამოხატეს მზადყოფნა, რომ კიდევ ერთხელ გადახედავდნენ სერტიფიკატის გაცემის წესს და რადგან პროგრამის განმახორციელებელი იყო უნივერსიტეტი, რომელმაც გააკეთა სააკრედიტაციო განაცხადი, შესაბამისად სერტიფიკატზე უნდა აღნიშნულიყო უნივერსიტეტის სახელწოდება (სამართლებრივი ფორმის მითითებით) და უნივერსიტეტის ლოგო.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტი როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იმყოფებოდა ავტორიზაციის პროცესში. მისი

განმარტებით, წარმოების დროს როდესაც დაწესებულება წარადგენდა საავტორიზაციო დოკუმენტაციას განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში მხოლოდ გარკვეული პერიოდი არსებობდა ცვლილებების განხორციელების საშუალება. ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების პროექტი და რეგულაცია სასწავლო ცენტრთან დაკავშირებით ერთობლივად იყო წარდგენილი და იქედან გამომდინარე, რომ აღარ შეიძლებოდა სტრუქტურულ ერთეულში ცვლილების განხორციელება მხოლოდ ერთ პროექტს მოეწერა ხელი. მან დამატებით განაცხადა, რომ დაწესებულებაში არსებობდა რამდენიმე სასწავლო და კვლევითი ცენტრი, რომლებიც ფუნქციონირებდა ფაკულტეტებზე და განმარტა, რომ სააკრედიტაციოდ წარდგენილი პროგრამა განხორციელდებოდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ფარგლებში.

საბჭოს წევრმა, მაია კოპალეიშვილმა განაცხადა, რომ განსახილველი საკითხი სამომავლო ხედვას არ ეხებოდა. მან განმარტა, რომ როდესაც მიმდინარეობდა მტკიცების პროცესი უნდა დამტკიცებულიყო იმ ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებით, რომელიც იმ მომენტისთვის არსებობდა. მან დამატებით განაცხადა რომ სამომავლო ხედვა, რომლის განხორციელებასაც გეგმავდა დაწესებულება უნდა გაეკეთებინათ ცვლილებების სახით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ლიკა გიორგაძემ განაცხადა, რომ ის ეთანხმებოდა საბჭოს წევრის პოზიციას და ექსპერტთა შეფასებას და შესაბამისი ცვლილება განხორციელდებოდა წესში. ამასთან, ის მიიჩნევდა, რომ მთლიანობაში წესში არსებული ჩანაწერებიდან იურიდიული ხარვეზი არ იკვეთებოდა. მან განაცხადა, რომ სწორედ ამ მიზეზით ექსპერტთა ჯგუფმა ეს საკითხი გაწერა რჩევის სახით.

საბჭოს წევრმა, მაია კოპალეიშვილმა განაცხადა, რომ ეს იყო სერიოზული ხარვეზი, რადგან დოკუმენტი ზუსტად უნდა ასახავდეს რეალობას.

ექსპერტმა, ლევან მადათოვმა განაცხადა, რომ სტანდარტი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებდა პროგრამის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატის გაცემის წესზე და მნიშვნელოვანი იყო, რომ სტანდარტის მოთხოვნა ყოფილიყო ასევე, სერტიფიკატის დამტკიცებული ფორმის წარმოდგენა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები განსახილველ საკითხებთან მიმართებით. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ შეკითხვები მხარეებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგან პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობის შედეგი მეტწილად შესაბამისი დადგა, კანონმდებლობა საბჭოს უფლებამოსილებას აძლევდა განესაზღვრა დაწესებულებისათვის მაქსიმუმ 6 თვიანი ვადა მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად და აღნიშნულის შესაბამისად, საბჭოს ინტერესის საგანს წარმოადგენდა, თუ რა ვადას თვლიდა დაწესებულება გონივრულად აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად.

დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ვინაიდან რეკომენდაცია შეეხებოდა ასევე სასწავლო მასალის სრულყოფას, უმჯობესი იქნებოდა თუ დაწესებულებას მიეცემოდა ანგარიშის წარმოსადგენად 6 თვე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭო თავმჯდომარის განმარტებით, საბჭო იზიარებდა პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, დაწესებულებას განესაზღვრა 6 თვე (22.05.2020) ანგარიშის წარმოსადგენად.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ჭილაძემ წარმოადგინა შუამდგომლობა გაერთიანებულ ფორმატში მომხდარიყო სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის პროგრამების აკრედიტაციის საკითხების განხილვა, ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები ამ პროგრამებთან მიმართებით მეტწილად იდენტური შინაარსის იყო.

საბჭოს წევრებმა, დაწესებულების წარმომადგენლებმა და ექსპერტებმა ერთხმად გაიზიარეს აღნიშნული მოსაზრება.

2. სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
3. სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებებს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებსა და ექსპერტთა დასკვნების პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ უკუკავშირს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ეზუგბაიამ საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამებთან მიმართებით შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც საერთო იყო ორივე პროგრამისთვის:

- მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტმა პროგრამისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის გამოქვეყნება იმგვარად უზრუნველყოს, რომ დაინტერესებული პირისათვის ინფორმაცია ნებისმიერ დროს ადვილად ხელმისაწვდომი და მოძიებადი იყოს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ საჯაროობის კუთხით სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნა დაცული იყო, ხოლო ხელმისაწვდომობის კომპონენტს არ აკმაყოფილებდა;
- მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამაში თითოეული საკითხის სწავლების მეთოდი მიეთითოს;
- პრაქტიკული სავარჯიშოების შემუშავებისა და ინსტიტუტთან შეთანხმების შემდეგ, მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამის გეგმაში მიეთითოს პრაქტიკული მეცადინეობებისთვის გამოყოფილი დროის ჯამური ოდენობის შესახებ კორექტირებული მონაცემები და აისახოს სილაბუსებში. ექსპერტმა აქვე განმარტა, რომ დაწესებულებამ დასკვნის პროექტებზე უკუკავშირთან ერთად წარმოადგინა ასევე, ადმინისტრაციული წარმოების სასწავლო კურსის განახლებული სილაბუსი და მნიშვნელოვანი იყო, რომ სხვა საგნებთან მიმართებითაც განხორციელებულიყო შესაბამისი ცვლილებები;
- მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტმა განსაზღვროს პროგრამის განხორციელებისას სასწავლო მასალის მიწოდების ერთიანი სტანდარტი;
- მნიშვნელოვანია სასწავლო პროგრამის გეგმაში თითოეულ საკითხთან მიმართებით მიეთითოს სწავლების მეთოდი;
- მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგის შეფასების ფორმა შეიცვალოს შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი შეფასების კომპონენტების მიხედვით, რათა უკუკავშირის ფორმაში შეფასების თითოეული კომპონენტი სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი;

- მნიშვნელოვანია, რომ ინსტიტუტმა გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები სასწავლო პროგრამის სამუშაო საათებში შეუფერხებლად ჩატარების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვანია, რომ ტრენინგის შეფასების ფორმა შეიცვალოს შეფასების მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი შეფასების კომპონენტების მიხედვით, რათა შეფასების ფორმაში ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით უკუკავშირი სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი.

ასევე, პროვნიული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსთან მიმართებით შემუშავებულ იქნა შემდეგი რეკომენდაცია:

- მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი დაექვემდებაროს ერთიან სტანდარტს და გამოირიცხოს სხვადასხვა მეთოდებითა და სასწავლო პროგრამის შინაარსით ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისთვის.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა მეთოდებთან მიმართებით დაფიქსირებული რეკომენდაციით, კერძოდ, იყო თუ არა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამით სწავლების შესაბამისი მეთოდები გათვალისწინებული.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ეზუგბაიამ განმარტა, რომ ზოგადი მეთოდები იყო ჩამოთვლილი სასწავლო პროგრამაში, თუმცა ჩაშლილ თემატიკასთან მიმართებით, რომელ მეთოდ(ებ)ს გამოიყენებდა ტრენერი არ იყო დაფიქსირებული. პრაქტიკული სავარჯიშო იქნებოდა ეს, პრეზენტაცია, ლექცია თუ სხვა მეთოდი არ იყო დაკონკრეტებული. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით იმისთვის, რომ შეფასდეს ნამდვილად მიიღწევა თუ არა სწავლის შედეგები, აუცილებელია მიეწოდოს მათ ინფორმაცია გამოსაყენებელი მეთოდ(ებ)ის შესახებ. ამა თუ იმ თემატიკასთან მიმართებით სხვადასხვა მეთოდის გამოყენებით შესაძლებელი იყო სხვადასხვა შედეგი დამდგარიყო. აღნიშნულის შესაბამისად, მნიშვნელოვანი იყო თითოეულ საკითხთან მიმართებით მითითებულიყო შესაბამისი მეთოდები, რათა დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა გაეცნონ, თუ რა გზებით მიიღწევა სწავლის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ჭილაძემ ითხოვა დაზუსტება, ვრცელდებოდა თუ არა საჯარო აუდიტის ინსტიტუტის რეგულაციებზე საქართველოს მთავრობის N242-ე დადგენილებით გათვალისწინებული მოხელის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული მომსახურების შესყიდვა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის, გიორგი ეზუგბაიას განმარტებით, შესყიდვების კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისი ვრცელდებოდა აღნიშნულ დაწესებულებაზე. მათ მიერ მიწოდებული მომსახურება არ საჭიროებდა ტენდერის გზით შესყიდვას და საჯარო დაწესებულებებს შეეძლოთ მათგან პროფესიული პროგრამების გამარტივებული წესით შესყიდვა განეხორციელებინათ. ექსპერტის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფთან ინტერვიუს პროცესში, ინსტიტუტის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის პირველადი სამიზნე ჯგუფი საჯარო აუდიტის ინსტიტუტის წარმომადგენლები იყვნენ, რომლებიც სასწავლო პროგრამას უსასყიდლოდ მიიღებდნენ. თუმცა, ინსტიტუტი ასევე აპირებდა, რომ პროგრამა კომერციული მიზნებით მიეწოდებინა სხვა საჯარო დაწესებულებებისათვის.

საბჭოს წევრი, მაია კოპალეიშვილი დაინტერესდა, პროგრამებისათვის აკრედიტაციის მინიჭების შემთხვევაში, სახელმწიფო აუდიტის თანამშრომლებისთვის ამ პროგრამების გავლის საფასურის გადახდას თავად სახელმწიფო აუდიტი უზრუნველყოფდა, თუ პროგრამის ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, კანონმდებლობით იყო გათვალისწინებული ის გარემოება, რომ სახელმწიფო აუდიტის თანამშრომლებს უფასოდ მიეწოდებოდათ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ შეთავაზებული ტრენინგ-პროგრამები. ექსპერტმა, გიორგი ეზუგბაიამ დამატებით დასძინა, რომ ინტერვიუს დროს დაწესებულების წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ დაახლოებით 110 000 ლარი იყო გამოყოფილი სახელმწიფო აუდიტის იმ თანამშრომელთა გადამზადებისათვის, რომლებსაც უწევდათ ამ ეტაპზე პროფესიული განვითარების პროგრამებში მონაწილეობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს ექსპერტთა მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელი, თინათინ სიყმაშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას. მან მადლობა გადაუხადა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლებს სააკრედიტაციო წარმოების პროცესში გაწეული კონსულტაციებისთვის. მისი განმარტებით, დაწესებულებას დიდი შრომა ჰქონდა გაწეული და სააკრედიტაციო განაცხადის წარმოდგენისას, იმაზე მეტი დოკუმენტი იქნა მათ მიერ ცენტრში წარდგენილი, ვიდრე პროგრამის თვითშეფასების დანართით იყო გათვალისწინებული. ამასთან, ცენტრის მიერ ფორმალური შესაბამისობის დადგენის ეტაპზე არ გამოვლენილა ხარვეზები. თინათინ სიყმაშვილის განცხადებით, მისთვის გასაკვირი იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების ნაწილი. დაწესებულების წარმომადგენლების შეფასებით, ორივე პროგრამა სრულ შესაბამისობაში იყო სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან. ამასთან, მან დამატებით დასძინა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციები შესაძლოა შეფასებულიყო როგორც სტანდარტების ე.წ. „ზედა სტანდარტებად“ და მათი ნაწილი შესაძლებელი იყო გაეთვალისწინებინა დაწესებულებას, თუ ისინი შემოთავაზებულ იქნებოდა რჩევების სახით. მან ითხოვა თითოეულ რეკომენდაციასთან მიმართებით გაეუღერებინა დაწესებულების პოზიცია.

აღნიშნულთან დაკავშირებით საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ჭილაძემ დასძინა, რომ რადგანაც დაწესებულება მიიჩნევდა, რომ ექსპერტთა მიერ დაფიქსირებული რეკომენდაციები აჭარბებდა სტანდარტების მოთხოვნებს, უმჯობესი იქნებოდა თუ წარმომადგენელი დაწესებულების პოზიციის წარმოდგენისას პარალელს გაავლებდა სტანდარტთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თინათინ სიყმაშვილმა პირველი სტანდარტის მე-3 კომპონენტთან მიმართებით დაფიქსირებულ რეკომენდაციაზე განაცხადა, რომ სრულად დაკმაყოფილებული იყო მოთხოვნა, ვინაიდან ინფორმაცია დაინტერესებული პირთათვის იყო საჯარო და ამავედროულად ხელმისაწვდომი. ამასთან, მან აღნიშნა, რომ არსებული ვებ-გვერდი იყო რეკონსტრუქციის პროცესში და ამჟამად ტექნიკურად შეუძლებელი იყო ინფორმაციის განთავსება სისტემაში, სიახლეების ველის გარდა. ხოლო, ახალი ვებ-გვერდის მენიუში აკრედიტირებული პროგრამები იყო ცალკე გამოტანილი, სადაც ყველა დაინტერესებულ

პირს ადვილად შეეძლებოდა აღნიშნული ინფორმაციის მოძიება. აქვე მან დასძინა, რომ ეს ინფორმაცია მიწოდებულ იქნა ასევე ექსპერტებისთვისაც ვიზიტის დროს. რაც შეეხებოდა, პირველი სტანდარტის მე-4 კომპონენტის რეკომენდაციას, ამ შემთხვევაშიც მიიჩნევდა დაწესებულება, რომ სტანდარტის მოთხოვნები სრულად იყო დაკმაყოფილებული. რასაც ადასტურებდა ასევე, სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზის პირველი აბზაციც. რეკომენდაცია წუთების ჯამურ რაოდენობაში უზუსტობასთან დაკავშირებით იყო ტექნიკური ხასიათის და უკვე ჩასწორებულ იქნა. ხოლო რაც შეეხებოდა თითოეულ საკითხზე სწავლების მეთოდოლოგიის მითითებას, აღნიშნული არ წარმოადგენდა სტანდარტის მოთხოვნას. სილაბუსებში იყო მითითებული ის მეთოდები, რომლებიც გამოიყენებოდა სწავლების პროცესში. დაწესებულება სრულად ეთანხმებოდა მიდგომას, რომ სასწავლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უნდა ექვემდებარებოდეს ერთიან სტანდარტს. წარმომადგენელმა განმარტა, რომ თითოეული მოდული სხვადასხვა ჯგუფებთან მიმართებით გამოიყენებდა ერთიან მეთოდებს და სასწავლო პროგრამის შინაარსს. მან ასევე დასძინა, რომ ტრენერის კომენტარი, სხვადასხვა ჯგუფში განსხვავებულ მიდგომასთან დაკავშირებით, ეხებოდა სამიზნე ჯგუფის მოთხოვნას მოდულის გარკვეულ საკითხზე ყურადღების მეტად ან ნაკლებად გამახვილებას. პირველი სტანდარტის მე-7 კომპონენტთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე თინათინ სიყმაშვილმა განაცხადა, რომ სასწავლო მასალების ერთიანი სტანდარტით მიწოდება, სტანდარტით არ არის მოთხოვნილი, თუმცა დაწესებულება გეგმავდა ერთიანი სტანდარტის შემუშავებასა და დანერგვას. იგივე შეეხებოდა თითოეულ საკითხთან მიმართებით ერთიანი მეთოდებისა და სტანდარტის შემუშავებას. წარმომადგენლის განმარტებით, სტანდარტის მოთხოვნები სრულად იყო დაკმაყოფილებული, თუმცა დაწესებულება რჩევის სახით გაითვალისწინებდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას. პირველი სტანდარტის მე-8 კომპონენტთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე თინათინ სიყმაშვილმა განაცხადა, რომ პროგრამა ითვალისწინებდა შეფასებას და უკუკავშირის შედეგები გამოიყენებოდა პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესებისთვის. რაც შეეხებოდა ექსპერტთა რეკომენდაციას, რომ უკუკავშირის კითხვარი მეთოდოლოგიის კომპონენტების მიხედვით არ იყო კონსტრუირებული, დაწესებულება მიიჩნევდა, რომ ინსტიტუტის შეფასების სისტემა შინაარსობრივად მაქსიმალურად ითვალისწინებდა პროცედურით განსაზღვრულ კომპონენტებს. მისი თქმით, ასევე მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ პროგრამით განსაზღვრული უკუკავშირის კითხვარის კომპონენტები, რომელიც მოიცავდა ტრენერის შეფასებას, ტრენინგის გარემოს შეფასებას, ტრენინგის პროცესის შეფასებას, ტრენინგის შინაარსის შეფასებას, ტრენინგის შედეგის შეფასებასა და ზოგად კმაყოფილებას გაერთიანებული იყო უკუკავშირის ფორმაში, 3 ქვეთავად: სასწავლო კურსის შეფასება, ტრენინგების ორგანიზების, სერვისის მიწოდების შეფასება, ტრენერის შეფასება. პირველი ქვეთავი მოიცავდა პროგრამით გათვალისწინებულ შემდეგ კომპონენტებს: ტრენინგის ზოგადი შეფასება, ტრენინგის პროცესის შეფასება, ტრენინგის შედეგის შეფასება და ზოგადი კმაყოფილება, მეორე მოიცავდა გარემოს, ხოლო მესამე ქვეთავი ტრენერის შეფასებას. თინათინ სიყმაშვილმა მეორე სტანდარტის პირველ კომპონენტთან მიმართებით დაფიქსირებულ რეკომენდაციაზე განაცხადა, რომ სტანდარტის მოთხოვნები სრულად იყო დაკმაყოფილებული და ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციები ინსტიტუტს შეეძლო გაეთვალისწინებინა რჩევის სახით. დაწესებულება უზრუნველყოფდა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თანამშროლებისთვის ტრენინგები ძირითადად სამუშაო საათებში იგეგმებოდა, თუმცა ტრენინგების ჩატარება სამუშაო საათების დასრულების შემდგომაც ხდებოდა. ასევე, მან განმარტა, რომ ტრენინგი იგეგმებოდა და

ხორციელდებოდა დამკვეთისა და ტრენერის ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე, რაც გამორიცხავდა სასწავლო პროცესის შეფერხებას. თითოეული ტრენინგის დაგეგმვის დროს ტრენინგის ჩატარების თარიღები ზუსტდებოდა თითოეულ ტრენერთან. მეორე სტანდარტის მე-4 კომპონენტთან მიმართებით დაფიქსირებულ რეკომენდაციაზე წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ინსტიტუტი სრულად აკმაყოფილებდა სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ვინაიდან ტრენინგის შეფასების ფორმა სრულყოფილად მოიცავდა ადამიანურ-მატერიალურ რესურსების შესახებ შეფასებას. აღნიშნულს ითვალისწინებდა ინსტიტუტის უკუკავშირის შემდეგი კითხვები: „როგორ იყო ორგანიზებული ტრენინგი?“, „რამდენად კმაყოფილი ხართ სასწავლო პროცესით (მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, აუდიტორია და ა.შ.)“, „როგორ შეაფასებდით ადმინისტრაციის დამოკიდებულებას და მომსახურებას?“. დაწესებულება ნერგავდა ხარისხის მართვის სისტემებს, რომლის ფარგლებში მუდმივად გაუმჯობესდებოდა ინსტიტუტში მიმდინარე პროცესები.

ექსპერტი, ნინო ცუხიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ პროგრამის უკუკავშირის ფორმასთან დაკავშირებულ შეფასებაზე უფრო დეტალურ განმარტებას გააკეთებდა. მისი განმარტებით, ფორმის გაუმჯობესება მნიშვნელოვანი იყო იმ მიზნებიდან გამომდინარე, რომ შესაბამისი შედეგები მიეღო დაწესებულებას შეფასების შედეგად. სასურველი იყო, რომ უფრო დეტალურ კითხვებს შეიცავდეს ფორმა. ერთმანეთთან დადარდა უკუკავშირის ფორმა და მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი შეფასების ფორმა, სადაც წარმოდგენილი იყო 5 ძირითადი მიმართულება: ტრენერის შეფასება; ტრენინგის გარემოს შეფასება; პროცესის შეფასება; ტრენინგის შინაარსის შეფასება; ტრენინგის შედეგების შეფასება და ზოგადი კმაყოფილება. შესაბამისად, ექსპერტებს ჰქონდათ მოლოდინი, რომ უკუკავშირის ფორმაც ამავე სტრუქტურით იქნებოდა აგებული. უკუკავშირის კითხვარში სამი კომპონენტი იყო გამოყოფილი: სასწავლო კურსის შეფასება; ტრენინგის ორგანიზებისა და სერვისის მიწოდების შეფასება და 13 კითხვა იყო წარმოდგენილი აღნიშნულ ფორმაში, რომელთაგან დიდი ნაწილი ეთმობოდა სასწავლო კურსის შეფასებას და ზოგიერთი კომპონენტი, რომელიც მოცემული იყო მეთოდოლოგიაში, მაგალითად ტრენინგის შედეგების შეფასება, არ იყო კითხვებში მოცემული. ექსპერტებისთვის არ იყო ნათელი, თუ როგორ გადანაწილდა კითხვები და რატომ არ იყო მეთოდოლოგიის შესაბამისი. ამასთან, ზოგიერთი კითხვა მოცემული იყო იმ ნაწილში, რომელიც შინაარსობრივად არ შეესაბამებოდა იმ კონკრეტულ ნაწილს. მაგალითად, ტრენინგის მასალების მიწოდებასთან დაკავშირებული შეკითხვა თავისი შინაარსით შეესაბამებოდა სერვისების ნაწილს, თუმცა მოცემული იყო სასწავლო კურსის შეფასების ნაწილში. ექსპერტების შეფასებით, სასურველი იყო უკუკავშირის ფორმა მიზნული ყოფილიყო მეთოდოლოგიის კომპონენტებზე და კითხვები შინაარსის მიხედვით ყოფილიყო დალაგებული. ამასთან, მისი თქმით ეს გარემოება განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენდა პროგრამის განხორციელებისთვის, თუმცა მნიშვნელოვანი იყო თავად დაწესებულებისათვის, რომ სწორი უკუკავშირი მიეღო პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის.

საბჭოს წევრმა, თამარ ზარანდიამ ითხოვა დაზუსტება, ითვალისწინებდა თუ არა მსმენელთა მიერ პროგრამის შეფასება უკუკავშირის ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით.

ექსპერტის, ნინო ცუხიშვილის განმარტებით, უკუკავშირის ფორმა მეტნაკლებად შეიცავდა ამ საკითხებსაც, თუმცა სტანდარტიდან გამომდინარე ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევდა, რომ ყველა კითხვასთან დაკავშირებით შინაარსობრივად პროპორცია უნდა ყოფილიყო დაცული. მნიშვნელოვანი იყო, რომ ტრენინგის შეფასების ფორმა შეცვლილიყო შეფასების

მეთოდოლოგიაში წარმოდგენილი შეფასების კომპონენტების მიხედვით, რათა შეფასების ფორმაში ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით უკუკავშირი სრულყოფილად იყოს წარმოდგენილი.

საბჭოს წევრი, თამარ ზარანდია დაინტერესდა, იყო თუ არა მითითებული ტრენერებთან გაფორმებულ წინასწარი ხელშეკრულებების დოკუმენტებში ინფორმაცია ტრენინგის განხორციელების დღეების ან/და დროების შესახებ. აღნიშნული კითხვა ეხმიანებოდა ექსპერტთა შეფასებას, რომელიც შეეხებოდა ერთ-ერთი ტრენერის დატვირთვას სამუშაო საათებში.

ექსპერტის, ნინო ცუხიშვილის თქმით, ასეთ ინფორმაცია არ იყო ასახული ტრენერებთან დადებულ წინასწარ შეთანხმებებში.

დაწესებულების წარმომადგენლის, თინათინ სიყმაშვილის განმარტებით, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხდებოდა ტრენერის სამუშაო დატვირთვაზე მორგება. უკუკავშირის ფორმასთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ საინტერესო მოსაზრებები დაფიქსირდა ექსპერტების მხრიდან, თუნდაც კითხვების პროპორციასთან დაკავშირებით. სტანდარტებთან მიმართებით, თუ მოხდებოდა უკუკავშირის კითხვარის განხილვა, ის სრულ შესაბამისობაში იყო დადგენილ მოთხოვნებთან. რაც შეეხებოდა შინაარსობრივი თვალსაზრისით დახვეწას, აღნიშნულ გარემოებას გაითვალისწინებდა დაწესებულება რჩევის სახით, რათა მაქსიმალურად დიდი ინფორმაციის მომტანი იყოს შემდგომში ეს კითხვარი. სტანდარტის მოთხოვნა იყო, რომ უკუკავშირის კითხვარში ერთი ზოგადი კითხვა მაინც ყოფილიყო მოცემული ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებით.


ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი ეზუგბაიამ დამატებით დასძინა, რომ ექსპერტთა ჯგუფს სადაო არ გაუხდია, უკუკავშირის ფორმის ან/ და მასში ადამიანურ და მატერიალურ-ტექნიკურ რესურსებთან დაკავშირებული ზოგადი კითხვის არსებობის საკითხი. ასეთ შემთხვევაში დადგებოდა სტანდარტის მოთხოვნებთან შეუსაბამობის ფაქტი. ექსპერტების შეფასებით, უკუკავშირი შესაძლებლობას უნდა აძლევდეს დაწესებულებას ამ მიმართულებით დადგენილი სამიზნე ნიშნულების გაუმჯობესებაზე იზრუნოს, რაც სტანდარტის მოთხოვნას წარმოადგენს. წარმოდგენილი უკუკავშირის დახვეწის შემთხვევაში დაწესებულებას ასეთი შესაძლებლობა ექნება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თინათინ სიყმაშვილმა სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით განმარტა, რომ უკუკავშირის კითხვარის შედეგები ითვლებოდა NPS მეთოდოლოგიით და დადგენილი იყო ზღვრები რა ნიშნულზე ახდენდა დაწესებულება რეაგირებას კონკრეტული კომპონენტის გასაუმჯობესებლად. შეფასების მეთოდოლოგია გაწერილი იყო ტრენინგების/სერტიფიცირების დაგეგმვისა და განვითარების პროცედურაში. ამ დრომდე არსებული პრაქტიკა და გამოცდილება აჩვენებდა, რომ კონკრეტულ კომპონენტებში დაწესებულებამ მიაღწია გაუმჯობესებას. ამ საკითხთან მიმართებითაც, მიიჩნეოდა დაწესებულება, რომ ეს უნდა ყოფილიყო რჩევა და არა რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნანა ჭილაძემ მიმართა საბჭოს წევრებს, თუ კითხვები აღარ ჰქონდათ რეკომენდაციებთან დაკავშირებით და არც ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს აღარ სურდათ დამატებით განმარტებების გაკეთება, ამ შემთხვევაში განხილვა განეგრძოთ დასკვნებში დაფიქსირებული რჩევების წარდგენით.

ექსპერტმა, ნინო ცუხიშვილმა საბჭოს წევრებს გააცნო პროგრამებთან მიმართებით შემუშავებული რჩევები, რომლებიც საერთო იყო ორივე პროგრამისთვის:

- პროგრამის დაგეგმვის პროცესის ეფექტიანობისა და ერთიანი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ ინსტიტუტმა ტრენინგების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში საჯარო მოხელეთა პროფესიული განვითარების პროგრამების შემუშავების საკუთარი ხედვა და მეთოდოლოგიურ მითითებები ჩამოაყალიბოს, საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის N242 დადგენილებით მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში;
- ფართო თანამონაწილეობისა და ჩართულობის უზრუნველსაყოფად, სასურველია, რომ ინსტიტუტმა გამართოს კონსულტაციები და სამუშაო შეხვედრები სხვა დაინტერესებული პირებთან პროფესიული პროგრამის განვითარების პროცესში;
- სასურველია, რომ სასწავლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში ნათლად იკვეთებოდეს საჯარო მოხელეებისთვის რელევანტური საკითხების სწავლება (საკითხები მიწოდებული იქნას მსმენელებისთვის საჯარო სამსახურის ჭრილში) და სასწავლო პროგრამის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად, გამოირიცხოს საჯარო სამსახურისთვის არა რელევანტური თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება;
- სასურველია, რომ სწავლის შედეგების რუკაში დაკონკრეტდეს თითოეული საგნის ცალკეული საკითხების ურთიერთმიმართება შესაბამის კომპეტენციებთან და თითოეულ საგანთან მიმართებით რუკა ჩამოაყალიბდეს ისე, რომ სხვა საგნების მიერ გამოსამუშავებელი კომპეტენციები არ იყოს მხედველობაში მიღებული;
- სასურველია, რომ სასწავლო პროგრამის იმპლემენტაციის დაწყებამდე შემუშავდეს და ინსტიტუტთან შეთანხმდეს სასწავლო მასალა, მათ შორის, სახელმძღვანელოები, სავარჯიშოები და, საჭიროების შემთხვევაში, Power-point-ის პრეზენტაციები;
- სასურველია, რომ ტრენერებმა იმსჯელონ საბოლოო გამოცდაში შეფასების სხვა ფორმების დანერგვის საჭიროებაზე;
- სასურველია, რომ ინსტიტუტმა უზრუნველყოს საბოლოო გამოცდაში მიღებული შედეგების ანალიზი და გამოიყენოს პროგრამის გასაუმჯობესებლად;
- სასურველია, რომ საბოლოო გამოცდისას განისაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი თითოეულ საგანთან მიმართებით;
- ტრენერთა შერჩევის დროს ინსტიტუტმა უზრუნველყოს ტრენერთა მხრიდან შესაბამისი გამოცდილების დამადასტურებელი ცნობების წარმოდგენა და ტრენერთა შესაბამისობის დამადასტურებელ დოკუმენტად მხოლოდ რეზიუმეში არსებული ჩანაწერები არ იყოს მიჩნეული;
- სასურველია, რომ ფორსმაჟორული გარემოებების (ჯანმრთელობის მდგომარეობა და სხვა) წარმოქმნის შემთხვევაში, ტრენინგების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, ინსტიტუტმა შემცვლელი ტრენერის რანგში მოიძიოს შესაბამისი კვალიფიკაციის სხვა პირები;
- სასურველია, რომ ტრენერის რეზიუმე წარმოდგენილი იყოს სახელმწიფო ენაზე;
- სასურველია, რომ ტრენერებთან გაფორმებულ წინასწარ შეთანხმებებში მითითებული იყოს ტრენერის ანაზღაურება;



- სასურველია, რომ პროგრამის სილაბუსებსა და ბიუჯეტში მოცემული მსმენელთა რაოდენობა შესაბამისობაში იყოს ერთმანეთთან.

ამასთან, მენეჯერული უნარების პროგრამასთან მიმართებით შემუშავებულ იქნა შემდეგი რჩევა:

- სასურველია, რომ სასწავლო პროგრამაში ადამიანური რესურსების მართვის საგნის სწავლებაზე გამოყოფილი დრო (6 საათი) გადანაწილდეს სხვა საგნების სწავლებაზე.

ასევე, პიროვნული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსთან მიმართებით შემუშავებულ იქნა შემდეგი რჩევა:

- სასურველია, რომ ტრენერებმა ჩამოაყალიბონ ერთიანი ხედვა პრე-პოსტ ტესტის ერთგვაროვან შინაარსთან დაკავშირებით.

აღნიშნულ რჩევასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პრე და პოსტ ტესტებს ატარებდა თავად დაწესებულება და დანერგილი სტანდარტის შესაბამისად, ისინი იყო იდენტური შინაარსის. აქვე, ექსპერტებმა დამატებით დასძინეს, რომ ვინაიდან ტრენერის მიერ ხდებოდა ტესტების შემუშავება, მიზანშეწონილი იყო დაწესებულებას ეთანამშრომლა მათთან ერთიანი ხედვის ჩამოყალიბების მიზნით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თინათინ სიყმაშვილმა ითხოვა დამატებითი კომენტარების გაკეთება ექსპერტების მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით. სწავლების ფორმა/მეთოდთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ სტანდარტის მოთხოვნას არ წარმოადგენდა კონკრეტულ თემატიკასთან მიმართებით კონკრეტული მეთოდის მითითება. შესაბამისად, დაწესებულებას ზოგადად ჰქონდა მითითებული სწავლების მეთოდები და შემდგომ ტრენერი იმუშავებდა კონკრეტული ტრენინგის გეგმას, სადაც გაწერილი იქნებოდა კონკრეტული მეთოდები. ასევე, რეკომენდაციასთან მიმართებით, რომელიც შეეხებოდა ერთ-ერთი ტრენერის მოსაზრებას სხვადასხვა მეთოდებითა და სასწავლო პროგრამის შინაარსით ტრენინგების ჩატარება სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისთვის, თინათინ სიყმაშვილმა განმარტა, რომ ამ შემთხვევაში სავარაუდოდ კომუნიკაციის პრობლემა იყო სახეზე და ტრენერმა იგულისხმა კონკრეტული საკითხისთვის დათმობილი დრო. ტრენინგის დაწყების წინ ტრენერი განსაზღვრავდა თუ რამდენი დრო უნდა დათმობოდა კონკრეტული საკითხის სწავლებას. თუ ჯგუფის ინტერესი კონკრეტული საკითხის მიმართ უფრო ძლიერი იქნებოდა, ტრენერი გაითვალისწინებდა ამ ფაქტორს და მეტ დროს დაუთმობდა. შესაბამისად, ტრენერის გადასაწყვეტი იყო კონკრეტულ საკითხს რამდენ წუთს დაუთმობდა ტრენინგის მსვლელობის დროს. ექსპერტმა, ნინო ცუხიშვილმა დამატებით განმარტა, რომ ამ შემთხვევაში კონკრეტული წუთების განსაზღვრაზე არ იყო მსჯელობა, არამედ ამა თუ იმ თემატიკის განხილვის სიღრმისეულობაზე, განსხვავებული შინაარსობრივი მასალის მიწოდებაზე იყო საუბარი ტრენერის მხრიდან კონკრეტულ ჯგუფთან. აქვე ექსპერტმა, გიორგი ეზუგბაიამ სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით განმარტა, რომ სტანდარტის კომპონენტის ტექსტი პირდაპირ არ გადმოცემდა, კონკრეტულ საკითხთან მიმართებით კონკრეტული მეთოდების გაწერას, თუმცა პირველი სტანდარტის მე-4 კომპონენტის ჩანაწერი „პროგრამის სტრუქტურა და კომპონენტები

უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას“ გულისხმობდა, რომ ექსპერტებს პროგრამის შეფასებისას უნდა ჰქონოდათ ინფორმაცია, თუ რა მეთოდით მოხდებოდა ამა თუ იმ თემატიკის სწავლება ტრენერის მიერ. სხვა შემთხვევაში რთულდებოდა იმაში დარწმუნება მიიღწეოდა თუ არა შესაბამისი სწავლის შედეგები. დაწესებულების წარმომადგენელმა, თინათინ სიყმაშვილმა განაცხადა, რომ ის ეთანხმებოდა ექსპერტს აღნიშნულ შეფასებაში, თუმცა აქვე განმარტა, რომ კონკრეტულ თემასთან მიმართებით მაგ. პრეზენტაციას ჩაატარებდა თუ როლური თამაშით მიაწოდებდა მსმენელებს შინაარსს, თავად ტრენერი განსაზღვრავდა ტრენინგის წინ და მის კომპეტენციაზე იყო დამოკიდებული სწავლის შედეგების მიღწევა. საპასუხოდ გიორგი ეზუგბაიამ აღნიშნა, რომ სწავლების რამდენიმე მეთოდის სახით შემოთავაზება არ წარმოადგენდა პრობლემას, უბრალოდ ეს უნდა ყოფილიყო გაწერილი. თინათინ სიყმაშვილის განცხადებით, დაწესებულებაში დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, ტრენერი საშუალოდ 2 დღით ადრე აწოდებდა ტრენინგის გეგმას დაწესებულების წარმომადგენლებს.

რჩევასთან მიმართებით, რომელიც უკავშირდებოდა სასწავლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსში საჯარო მოხელეებისთვის რელევანტური საკითხების სწავლებას, თინათინ სიყმაშვილმა აღნიშნა, რომ ტრენერების უმრავლესობას ჰქონდა გამოცდილება საჯარო სექტორში საქმიანობის და საჯარო მოხელეებისათვის ტრენინგების განხორციელების. ამასთან, თითოეულ ტრენერს გააზრებული ჰქონდა შინაარსის სპეციფიკა. პირველ რჩევასთან მიმართებით, რომელიც უკავშირდებოდა მეთოდოლოგიას, მან განმარტა, რომ აღნიშნული მიმართულებით პრაქტიკული გამოცდილების შეძენის შემდეგ მოხდებოდა დოკუმენტში ბიზნეს პროცესის გაწერა. მეორე რჩევასთან მიმართებით, რომელიც შეეხებოდა გარე პირების თანამონაწილეობას პროგრამის შემუშავების პროცესში, მან განმარტა, რომ ვიზიტის ფარგლებში ინტერვიუზეც აღინიშნა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებს თითქმის ყველა სამინისტროს ადამიანური რესურსების მართვის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებთან ჰქონდათ კომუნიკაცია და თანამშრომლობა. სწავლის შედეგების რუკასთან დაკავშირებულ რჩევასთან მიმართებით, თინათინ სიყმაშვილმა განმარტა, რომ თითოეული ქვეთემის კომპეტენციებთან დაკავშირება წარმოადგენდა სირთულეს და არც სტანდარტის მოთხოვნა არ იყო. ექსპერტმა, ნინო ცუხიშვილმა განაცხადა, რომ ტრენერებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მათ ჰქონდათ კარგი წარმოდგენა, თუ რომელი თემა რა კომპეტენციაზე გადიოდა და დეტალიზებული რუკის შემუშავება არ წარმოადგენდა მათთვის პრობლემას. ექსპერტმა, გიორგი ეზუგბაიამ დამატებით განმარტა, რომ ეს რჩევა ეფუძნებოდა ტრენერების პასუხს, რომელიც მიიღეს მათ ექსპერტების შეკითხვაზე, თუ როგორ ახდენდნენ საკითხების თემატურად გადაფარვის თავიდან აცილებას.

საბოლოო გამოცდაში შეფასების სხვა ფორმების დანერგვის საჭიროებასთან დაკავშირებულ რჩევაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა, თინათინ სიყმაშვილმა განმარტა, რომ ტესტური დავალებებისთვის უპირატესობის მინიჭება განპირობებული იყო გამოცდების ჩატარების ელექტრონული ფორმატით. მაგალითად, ღია კითხვების არსებობა ხელს შეუშლიდა ადმინისტრირების პროცესსა და შეფასების გამჭვირვალობის საკითხს. თუმცა სამომავლოდ შესაძლოა ეს რჩევა მსჯელობის საგანი გამხდარიყო. რჩევასთან მიმართებით, რომელიც უკავშირდებოდა საბოლოო გამოცდაში მიღებული შედეგების ანალიზსა და მის გამოყენებას

პროგრამის გასაუმჯობესებლად, თინათინ სიყმაშვილმა განმარტა, რომ მონაცემების სარწმუნოებისათვის 1 წელი იყო საჭირო მათ შესაგროვებლად. დაწესებულება იზიარებდა რჩევას, რომელიც უკავშირდებოდა საბოლოო გამოცდისას მინიმალური კომპეტენციის ზღვარის განსაზღვრას თითოეულ საგანთან მიმართებით. წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით არ ჰქონდათ ნაფიქრი და კარგი რჩევისთვის მადლობა გადაუხადა ექსპერტებს. რაც შეეხებოდა ტრენერთა კვალიფიკაციის დადასტურებას, დაწესებულება მხოლოდ რეზიუმეებში მოყვანილ ინფორმაციას არ ეყრდნობოდა და ასევე, ხელმძღვანელობდა შესაბამისი ცნობებით. ინგლისურ ენაზე წარმოდგენილ რეზიუმესთან დაკავშირებით განმარტა, რომ სახეზე იყო ტექნიკური უზუსტობა. რაც შეეხებოდა წინასწარ შეთანხმებებში ტრენერის ანაზღაურების მითითებას, აღნიშნულ რჩევას არ იზიარებდა დაწესებულება. ასევე, არ იზიარებდა დაწესებულება რჩევას, რომელიც უკავშირდებოდა პროგრამის სილაბუსებსა და ბიუჯეტში მოცემული მსმენელთა რაოდენობის შესაბამისობას. წარმომადგენლის განმარტებით, ჯგუფში მსმენელთა რაოდენობის სამიზნე მაჩვენებელი იყო 15, თუმცა 12 მსმენელის შემთხვევაშიც შედგებოდა ჯგუფი. მენეჯერული უნარების პროგრამის შემთხვევაში, HR თემის გამოყოფა, ეფუძნებოდა საჯარო სამსახურის ბიუროს რეკომენდაციას, ტრენერების შეფასებას და იმ მოსაზრებას, რომ ყველა მენეჯერი გაცნობიერებული უნდა იყოს აღნიშნული მიმართულებითაც.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ რჩევაზე და არ გაიზიარეს ექსპერტთა ჯგუფის შეფასება. მათ არ მიიჩნიეს არარელევანტურად ადამიანური რესურსების თემის შეთავაზება მენეჯერული უნარების პროგრამის მოდულში, მათ შორის არც საათების მითითებული რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები. საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ განაცხადა, რომ რადგან პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობის შედეგი მეტწილად შესაბამისი დადგა, კანონმდებლობა საბჭოს უფლებამოსილებას აძლევდა განესაზღვრა დაწესებულებისათვის მაქსიმუმ 6 თვიანი ვადა მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარსადგენად და აღნიშნულის შესაბამისად, საბჭოს ინტერესის საგანს წარმოადგენდა, თუ რა ვადას თვლიდა დაწესებულება გონივრულად აღნიშნული რეკომენდაციების შესასრულებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თინათინ სიყმაშვილმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ექსპერტთა რეკომენდაციებს რჩევების სახით იზიარებდა დაწესებულება, რადგანაც სტანდარტის მოთხოვნებთან როგორც რეგულაციასთან შესაბამისობაში იყო ორივე პროგრამა. ამასთან, მათი ნაწილი უკვე გათვალისწინებულ იქნა, შესაბამისად 3 თვის ვადაში შესაძლებელი იყო ანგარიშის წარმოდგენა.

ექსპერტების განმარტებით, რეკომენდაციების ბმა სტანდარტების თითოეულ კომპონენტთან მიმართებით ჩაშლილი იყო წარმოდგენილ დასკვნებში. მათ შემუშავებული რეკომენდაციების განსაზღვრულ ვადაში შესრულება კიდევ უფრო ხელს შეუწყობდა პროგრამების შემდგომ განვითარებას.

საბჭო სათათბირო შესვენებაზე გავიდა 17:33 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა 17:48 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „მოხელის მენეჯერული უნარების“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „პროფესიული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 4

მოწინააღმდეგე - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის №242 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესის, პროფესიული განვითარების სტანდარტისა და წესის“ მე-8 მუხლის მე-6 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების მე-16 მუხლის პირველი პუნქტის, მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტების, მე-6 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საჯარო აუდიტის ინსტიტუტის „პროფესიული და პროფესიული კომპეტენციების განვითარების კურსის“ პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების პროგრამას 5 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, საბჭო იზიარებდა ორივე პროგრამასთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს. საბჭოს წევრებმა იმსჯელეს და მიღებული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე, დაწესებულებას განესაზღვრა 3 თვე (22.02.2020) თვე ანგარიშის წარმოსადგენად.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულებების წარმომადგენლებსა და ექსპერტთა ჯგუფებს კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის. მან ასევე ხაზი გაუსვა ექსპერტთა კომპეტენციას და მადლობა გადაუხადა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ექსპერტთა შესარჩევი კონკურსის წარმატებით ჩატარებისთვის.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 17:52 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე
ნანა ჭილაძე



სხდომის მდივანი
თეიმურაზ ჩიხრაძე

